კვირა, 8 ოქტომბერი 1917 წ.

ფასი 15 კაპ.

# ბრძოლა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაზეთი ჯერ-ჯერობით გამოვა კვირაში ერთხელ. კორრესპონდენციები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, Ред. газ. „Кавк. Рабочій", для „Брдзолы"
გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 1 მ. 80 კ., სამი თვით 1 მ. 80 კ., 1 თვით 60 კ.
განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 10 კ.

№ 19 რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (მეუმრავლესეთა) თბილისის კომიტეტის ორგანო № 19

## ამხანაგებო, მუშებო! ჯარის კაცებო! გლეხებო!
## ემზადეთ სრულიად რუსეთის საბჭოთა სიეზდისათვის,

რომელიც უნდა გაიხსნას 20 ოქტომბერს. დაუყონებლივ მოაწვევეთ საბჭოთა საოლქო სიეზდი.

1917 წლის 4 ივნისიდან
ამხ. მ. ცხაკაიასა და ფილიპე მახარაძის
რედაქტორობით გამოდის სოც.-დემოკრატ. მეუმრავლესეების გაზეთი

**ბრძოლა,**

რომლის პირველ ნომერში მოთავსებულია რუსეთის ს. დ. მ. პ. საერთო კონფერენციის ყველა რეზოლიუციები.

რედაქცია მოუწოდებს ყველა ამხანაგებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ „ბრძოლას".

გაზეთი გამოვა ჯერჯერობით კვირაში ერთხელ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, გიორგის ქუჩა № 1. გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" რედაქციაში. ბარათები, წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Редакція „Кавказскій Рабочій", Георгіевская ул. № 1. для «Брдзола».

კანტორა ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა დილის 10—3 სა, ათამდე და საღამოს 8—9 საათ. რედაქცია: დილის 10 საათ. 2 საათ. კანტორა კვირა უქმე დღეებში ღიაა მხოლოთ დილის 10—12 საათ.

## საერთო პარტიული სიეზდი

17 ოქტომბრისთვის მოწვეულია სასწრაფო საერთო პარტიული სიეზდი პეტროგრადში რ. ს. დ. მ. პ. (ბალშევიკებისა).

დღის წესრიგი:

1. პარტიული პროგრამის გადასინჯვა.
2. ორგანიზაციული საკითხი.

წარმომადგენლობისათვის შემდეგი ნორმაა: 3-დან 5 ათას წევრზე—ერთი დელეგატი; ამაზე ზევით ყოველ 5 ათას წევრზე—თითო. საოლქო კომიტეტმა უნდა იკისროს ადგილობრივათ წვრილი ორგანიზაციების შეერთება და მათი საერთო წარმომადგენლის არჩევის მოწყობა.

საორგანიზაციო ბიურო ც. კ. რ. ს. დ. მ. პ. (ბალშევიკებისა).

## ორი სიეზდი.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში თბილისში გაიხსნა ორი სიეზდი: ერთია მენშევიკების, ხოლო მეორე ბალშევიკების.

ეს ფაქტი ჩვენი ხალხის ზრდისა და განვითარების მაჩვენებელია. თუ დღემდე ვისმესთვის გაუგებარი და შეუმჩნეველი იყო ეს მოვლენა, ამიერიდან ყველასთვის აშკარა და ცხადია, რომ ამიერკავკასიაში ერთ დროს ერთ პარტიაში შესული მარქსისტები, დასელები, დღეს ორათ არიან გათიშული, ორ სხვადასხვა ორგანიზაციას შეადგენენ და ყველა ამიერკავკასიელ მუშას, პროლეტარს, გინდ ნახევრათ პროლეტარს კითხვას უყენებენ: ან ერთში შევიდეს, ან მეორეში, ან ერთი ირჩიოს, ან მეორე; ამიერიდან აღარ შეიძლება, როგორც აქამდე იყო, ვინმემ თქვას: „მე არც მენშევიკი ვარ, არც ბალშევიკი, არამედ სოციალდემოკრატი, დასელიო". ამიერიდან შეგნებული მებრძოლის პასუხი ამ კითხვაზე უფრო ნათელი და გარკვეული იქნება!

ბევრს ეს ფაქტი სამწუხარო მოვლენათ მიაჩნია და თავის უპირველეს მოვალეობათ თვლის, რომ გათიშული ძმები—დასელები როგორმე მოარიგოს, თითქო გასაყოფი ჰქონდეთ რამე, და ერთ ორგანიზაციაში მოათავსოს; და ამას უმთავრესათ ასაბუთებენ იმით, რომ გაიძახიან: „ძალა ერთობაშიაო".

ერთ დროს ჩვენი ნაციონალისტებიც სწორეთ ასე ჩადიოდენ. ილია ჭავჭავაძე და მისი ორგანო „ივერია" პირდაპირ წინააღმდეგი იყო ჩვენში პარტიობის და დასელობის. ის ჩვენში პოლიტიკური პარტიების არსებობის მნიშვნელობას უარყოფდა და პირდაპირ საზარლობათაც სახავდა მას. და აი გამოვიდა მაშინ ასპარეზზე ახალგაზრდა მწერალი, ჩვენი ძველი დასელების ლიდერი, ნოე ჟორდანია და ასეთ ცრუ, ყალბ შეხედულებას ხელაღებით შეებრძოლა. მაშინ ის მართალი იყო, სრულ ჭეშმარიტებას ქადაგებდა და კიდეც გაიმარჯვა, მარა დღეს, როცა მისი მოწაფეები, მენშევიკები, ორგანიზაციიდან ბალშევიკების გასვლას, ცალკე პარტიათ გადაქცევას და მის მოქმედებას უარყოფენ, უნდა ითქვას, რომ ისინი ისეთივე რეაქციონურ-კონსერვატიულ აზრს იცავენ, როგორსაც ერთ დროს—„ივერიელები".

დასელების მენშევიკებათ და ბალშევიკებათ დაყოფა ჩვენ ჩვენი ცხოვრების განვითარების მაჩვენებელ ფაქტათ მიგვაჩნია და ძალიან ვწუხვართ, რომ დღემდე ეს ჩვენს მოწინააღმდეგეებს შეგნებული არა აქვთ. მათ კარგათ იციან, როგორც კლასობრივ ბრძოლის თვალსაზრისის მომხრეებმა, რომ საზოგადოება იმდენათ ვითარდება, რამდენათაც ის მოწინააღმდეგე კლასებათ ყალიბდება. ისიც იციან, რომ ყოველ კლასს თავისი იდეოლოგები ჰყავს და თუ დღეს მათი და ჩვენი იდეოლოგია—აზრები, იდეები, პოლიტიკა—ერთი და იგივე არაა, არამედ სხვა და სხვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საზოგადოების სხვა და სხვა კლასის იდეოლოგები, სხვა და სხვა ჯგუფის გამომხატველები ვყოფილვართ. მათ იციან ეს, მარა არ უნდათ აღიარონ, ვინაიდან მათაც სურთ თავი პროლეტარიატის იდეოლოგებათ გამოაჩინონ.

ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ისინი წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგები" არიან. ეს არის ძირითადი ჩვენ შორის განსხვავება, რომლიდანაც სხვა ყველა განსხვავება და უთანხმოება გამომდინარეობს; და სადაც ასეთი განსხვავება ნათლათ აქვთ შეგნებული, იქ ერთობა აღარ შეიძლება, იქ ერთ ორგანიზაციაში მოთავსება აღარ მოხერხდება. იმას გვიჩვენებს ჩვენ მესამე დასის ისტორია და განსაკუთრებით კი დღევანდელი ეს ჩვენი ორი სიეზდი.

არსებობს ქართულ ენაზე ნოე ჟორდანიას წიგნაკი: „სოციალდემოკრატია და დემოკრატია", სადაც უმთავრესათ ის აზრია გატარებული, რომ რუსეთში, კერძოთ ჩვენში პროლეტარული იდეოლოგიის და მისწრაფებების გამომხატველნი მენშევიკები არიან, ხოლო წვრილი ბურჟუაზიის—ბალშევიკები და ესერები. ასეთსავე აზრს გამოთქვამდა ცნობილი გიორგი პლეხანოვი, რომელიც პირდაპირ უთითებდა რუსეთს ქართველ მენშევიკებზე, როგორც სოციალ-დემოკრატიის მხსნელებზე. მისი აზრით ქართველ მენშევიკებს რუსეთის სოციალ დემოკრატია უნდა ეხსნათ, უნდა დაეცვათ ინტელიგენტების შემოსევისაგან, „ინტელიგენტშჩინისგან", როგორც ის უწოდებდა მაშინ ამ მოვლენას, ე. ი. ბალშევიკებისაგან.

მაგრამ რუსეთის რევოლიუციამ აშკარა ჰყო, თუ როგორ იხსნეს პლეხანოვებმა და ჩვენმა მენშევიკებმა რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია და პროლეტარიატი ბალშევიკებისაგან!

დღეს ყველასათვის ნათელი შეიქნა ის ფაქტი, რომ რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე მძლავრათ გაშალა ფრთები ბალშევიზმმა, რომ ის ხდება ხელმძღვანელი არა თუ რუსეთის მუშათა მოძრაობის, არამედ მთელი სახალხო მოძრაობისაც და ეს ხდება არა იმიტომ, რომ იგი წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიას წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ იგი მიიღო და იწამა რუსეთის მუშათა კლასმა, რომელმაც რუსეთი საბოლოოვოთ დაიხსნა თვითმპყრობელობის სასტიკ ბრჭყალებისაგან და ახლა ლამის დაიხსნას იგი ბურჟუაზიის იდეოლოგიის გავლენისაგან, მისი მომხმარებელ პოლიტიკისგან, რომელიც მომავალ რუსეთს ისეთ „ზუდნაშენს", სახელმწიფოებრივ ჩარჩოებს უმზადებს, რომელიც მას სამუდამოთ სულს შეუხუთავს და სოციალიზმისაკენ გზას შეუკრავს.

დღეს ჩვენ მოწამე ვართ იმისი, რომ თვით ზემოთ დასახელებულ წიგნაკის ავტორი, ჩვენი მენშევიკების მამათმთავარი ნოე ჟორდანია თავის სიეზდზე გამოდგარა და უშიშრათ იძახის: „მენშევიკების რაზმები აირია, მენშევიკებმა გზაკვალი დაკარგეს და მათ პროლეტარიატმა, მუშათა კლასმა ზურგი აქციაო"! და ეს იმიტომ მოხდა, განმარტავენ მისივე მოწაფე ორატორები, რომ „მენშევიკებმა ამ რევოლიუციის დროს პოლიტიკის და ტაქტიკის ხაზი გაამრუდეს, ამისთვის საჭიროა ამ ხაზის „გამოსწორებაო".

რომ ვერავითარი გამოსწორება, ვერავითარი რემონტი მენშევიკების დაღუპულ საქმეს ვერ უშველის, ვერ იხსნის, ამას ამ დღეებში რუსეთიდან აქ ჩამოსულის, სრულიათ რუსეთის მენშევიკ-ობორონცების „სახელოვანი" ახალგაზდა ლიდერის, ირაკლი წერეთლის განცხადება სავსებით ამტკიცებს. მან სთქვა: რუსეთის პროლეტარიატმა ჩვენ, მენშევიკები დაგვტოვა. მართალია ისიც, რომ მე მათ გავშორდი და ახლა მივმართავ ჭეშმარიტ დემოკრატიას, რომელსაც ამიერკავკასიის ხალხი წარმოადგენს და რომლის მსგავსი რუსეთში არ მოიპოვებაო.

სჩანს მენშევიკ-ობორონცების ლიდერს სხვა დასაყრდნობი, სხვა ნიადაგი ვერ მოუნახავს, თუ არა ისევ ამიერ-კავკასიის მებრძოლი დემოკრატია, ესე იგი წვრილბურჟუაზიული მასსა. მან ისიც სთქვა, რომ ეს ხალხი, ეს მასსა ქართველი სოციალდემოკრატიის გავლენით უფრო რევოლიუციონურია, ვიდრე მისთანამოძმე წვრილი ბურჟუაზია რუსეთისაო.

სწორეთ ამ გარემოებას ეყრდნობით ჩვენც, ამიერ-კავკასიის ბალშევიკები და ვამბობთ, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატია, ხალხი, როგორც უფრო რევოლიუციონური სულისკვეთების მქონე ხელაღებით გაჰყვება რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს, რომლის წინამძღოლები დღეს ბალშევიკებია. ასე მოხდა 1905 წელში, როცა გურია მთელი რუსეთის მებრძოლი დემოკრატიის ავანგრადათ ითვლებოდა. ასე მოხდება ახლაც, თუმცა იგივე გურია მენშევიკ-ობორონცების, ნოე ჟორდანია-წერეთლების შეოხებით არიერგადში, მებრძოლ რაზმების უკანა რიგში დგას. ასეთი იმედი, რომ უსაფუძვლო ოცნება არაა, ამას ნათლად მოწმობს ამ-ამათ თბილისში გამართული სიეზდი ამიერ-კავკასიის ბალშევიკებისა.

აქ ადგილობრივ დელეგატების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიაში ბალშევიკების გავლენა, როგორც ერთმა დელეგატთაგანმა განაცხადა, «საათობით იზრდება» და მალე დაჰკრავს საათი, როცა მენშევიკ-ობორონცები იძულებული გახდებიან იარალი აიყარონ და დაუყონებლივ დასტოვონ თავიანთი მთავარი მიუვალი ციხე-სიმაგრე გურია!

## მანიფესტი
### მესამე ციმმერვალდის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციისა.

უშფოთველივ და მოწიწებით ხვდება მთელი ქვეყანა მეოთხე ზამთრის ომს, სავსეს ტანჯვა-ვაებით. გაწყდა უკვე მილიონი მამაკაცი, ახალ-ახალი მილიონები იგზავნებიან ბრძოლის ველზე ყოველ დღე და ბავშვებს, როგორც მეომარ ისე არა მეომარ სახელმწიფოებისას, შიმშილი და სიცივე ასმევს მწარე ფიალას. სწყდება მთელი ქვეყანა, და ეს იმიტომ მხოლოთ, რომ კაპიტალისტებმა გაიტენონ ჯიბეები და გაბატონდენ მთელ დედამიწის ზურგზე.

ხალხი ველარ უძლებს ამ აუტანელ ტანჯვა—დაგვას და ხმამაღლივ მოითხოვს: «ზავი, ძირს ომი»! მაგრამ ზავის განთიადი ჯერ კიდევ არ ეფინება დედამიწის ზურგსა, თუნდაც მართალია, ამ აუტანელ ომის ზეგავლენით, მეომარ ქვეყნების მეთაურნი თითქო მზათ არიან შეუდგენ ზავის ჩამოგდებას.

მაგრამ თუ ერთის მხრივ ისინი დიდის ზეიმით გამოსთქვამენ სურვილს ზავის ვითომდა ჩამოგდებაზე, მეორის მხრივ, ვერ მალვენ თავიანთ ნამდვილ მიზანს დაიპყრან ახალ-ახალი ადგილები გასაყელეფათ და თანაც სამუდამოთ დაამხონ თავიანთი მეტოქენი.

კაპიტალისტური მთავრობანი თრთიან შიშით, როდესაც წარმოიდგენენ, რომ იმათ მოუხდებათ სისხლით მორწყულ ველებიდან ხელცარიელი უკან დაბრუნება და ეს მაშინ, როცა ისინი ასე უმწეოთ დაიტვირთნენ მილიარდებიანი ვალებით და ობოლთა და ქვრივთა წყევლა-კრულვით, ისინი თრთიან იმ დღის წინაშე, როდესაც მათ აუცილებლივ მოუხდებათ ომის დაბოლოვება და როდესაც დაიწყობა დღე მათი შურისძიებისა. აი მიზეზი, თუ რისთვის არ ათავებენ ისინი ომსა, სანამ კიდევ შესწევთ უკანასკნელი ღონე, მანამ კიდევ არ დაუკარგავთ უკანასკნელი იმედი გამარჯვებისა და მეტოქის განადგურებისა.

ზავის ჩამოგდების იმედი არ შეუძლიან ხალხს ჰქონდეს აგრეთვე იმ პოლიტიკის სოციალისტებზე, რომელნიც სტოკგოლმის კონფერენციის შემწეობით ლამობდენ ზავის შეკვრას. მთავრობის სოციალისტები, როგორც ერთი ბანაკისა, ისე მეორისა, დიდად დაშორებულნი არიან ერთი მეორისაგან, მათ შორის ხიდია ჩატეხილი, ვინაიდგან ისინი გამოდიან, როგორც მთავრობის აგენტები. ეს სოციალისტები-აგენტები ომის დაწყებიდან ხელს უწყობდენ მთავრობას, დარაჯათ უდგენ „სამოქალაქო დროებითი ზავს" და მხარს უჭერდენ იმპერიალისტებს მათ საომო პოლიტიკაში, რის გამოც სამუდამოთ დაჰკარგეს ნიჭი პროლეტარიატისთვის სასარგებლო ბრძოლა აწარმოვონ.

პროლეტარიატის ისტორიული როლისთვის საჭირო ნიჭი შეინარჩუნეს ყველა ქვეყნებში მხოლოთ პროლეტარიატის იმ ნაწილებმა, რომლებმაც არ უღალატეს პროლეტარიატის იდეალებს. საერთო შეხედულობა და შეგნება საერთო ინტერესებისა, აი რა აერთიანებდა ამ პროლეტართა ნაწილებს. როგორც ერთი ისე მიექანებიან ისინი საერთო მიზნისკენ.

ვითარებათა მსვლელობა აიძულებს მათ, რაც შეიძლება მალე გადასწყვიტონ ცხოვრების ძირითადი კითხვები. ცხადია, რომ მხოლოთ სოციალისტურ პროლეტარიატს შეუძლიან და მოვალეც არის მოიპოვოს ზავი და გამოარკვიოს მისი პირობა. მხოლოთ პროლეტარიატისგან დამყარებულ ზავს შეუძლიან თუ სამუდამოთ არა, დიდი ხნობით მაინც ხელი შეუშალოს ახალ ომის დაწყობას. ზავს, თუ იგი შეიკრა კაპიტალისტების მეოხებით, სულერთია, რა პირობებშიაც კი არ იყოს იგი ჩახლართული, ყველა ქვეყნებში თავის შედეგათ მოყვება აუტანელი გადასახადი, რომელიც მთელი თავის სიმძიმით დააწვება მხოლოთ მშრომელ ხალხს.

პროლეტარიატი დიდი ხნის განმავლობაში ჰკვებავდა გაუმაძღარ ომს თავის შვილების სისხლით და სწირავდა მას მშრომელ ხალხთა სიცოცხლეს და ძალღონეს. მთელი ომის განმავლობაში კაპიტალისტების ბრბო, როგორც წურბელა, სწოვდა ხალხის სისხლსა და ივსებდა ჯიბეებს ომის მოგებებით. კაპიტალისტებისგან შეკრული ზავი არა ნაკლებათ ამოსწოვს სისხლს მუშათა კლასს. საჭიროა ძირითადი დემოკრატიული გარდაქმნა მთელი სახელმწიფოებისა, საჭიროა მოესპოს უპირატესობა ფულის ტომარას.

იმისთვის კი, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდეს შემდეგში საერთაშორისო ომი, საჭიროა განხორციელდეს ჩვენი საბოლოვო მიზანი—სოციალისტური რესპუბლიკა.

დღევანდელი რუსეთის მდგომარეობა აუცილებლათ მოითხოვს, რათა განვითარდეს და დაჩქარდეს საერთაშორისო ბრძოლა ზავის სასარგებლოთ. აქ, რუსეთში, სადაც თავისუფლებისთვის მებრძოლთა შესძლეს მოეხდინათ დიდი რევოლიუცია მეფის ტახტიდან ჩამოგდებით, შესძლეს აგრეთვე გადადგათ პირველი ნაბიჯი ზავისკენ და კაცობრიობის გასანთავისუფლებლათ. სხვა ქვეყნებში კი პროლეტართა მასსა ჯერ კიდევ ვერ დამდგარა ამ გზაზე. ერთ რომელიმე ქვეყნის პროლეტარიატს კი არ ძალუძს ზავის ჩამოგდება, როცა ომში ჩათრეულია მთელი ქვეყანა. რუსეთის პროლეტარიატის განმარტოებას ამ ბრძოლაში შედეგათ მოჰყვა ისა, რომ რეაქციამ თავი აიწია მაღლა და თვით რევოლიუციასაც ემუქრება.

საერთაშორისო პროლეტარიატის შეერთებული ბრძოლა ზავისთვის, აი რა იხსნის რუსეთის რევოლიუციას.

პროლეტარიატის კერძო გამოსვლებს აქა-იქ უკვე ჰქონდა ადგილი სხვა და სხვა ქვეყნებში. მუშა კაცები და ქალები, მიუხედავათ დაბრკოლებისა და დევნისა გამოდიოდენ ქუჩებში და მოითხოვდენ პურსა, ზავსა და თავისუფლებას. ომით შეწუხებული ხალხი ებრძვის კაპიტალისტებს, როცა ესუკანასკნელნი ივსებაიან ომისგან შექმნილ სარგებლობით, მართავენ გაფიცვებს სხვა და სხვა ადგილებში, რათა დაიცვან კაცობრიობის უსაჭიროესი უფლება. ისინი აწარმოებდენ გაფიცვებით ბრძოლას მძიმე პირობებში, ვინაიდან მთავრობის სოციალისტები, რომლებიც თავში უდგენ პარტიებს და კავშირებს, უარს ყოფდენ ამ კავშირების და კოალიციების უფლებას. ეს ფაქტები მოწმობენ არა პროლეტარიატის დაღლილობას, არამედ იმას, რომ პროლეტარიატმა შეიგნო, თუ როგორ შეუძლიან მას ამგვარი ბრძოლით მიახწიოს ზავის მიზანს.

მაგრამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია სტიქიური ბრძოლით, ან კერძო გამოსვლებით სსვა და სხვა ქვეყნებში, რადგან ესენი ისე ხდება, რომ ერთი ქვეყნის პროლეტარიატი მეორე ქვეყნის პროლეტარიატის გაფიცვას გებულობს ხოლმე მაშინ, როცა უკვე გათავებულია გაფიცვა. დადგა დრო, როდესაც საჭირო გახდა, რათა დაიწყოს საერთო დიდი ბრძოლა ყველა ქვეყნებში საერთაშორისო ზავის ჩამოსაგდებათ და ხალხების გასათავისუფლებლათ პროლეტარიატის შემწეობით. ამ ბრძოლის იარაღათ უნდა გადიქცეს საერთო გაფიცვა მთელი ქვეყნის პროლეტარიატისა.

ჩვენ მივმართავთ თითეულ ქვეყნის მუშებს. ყოველი მათგანის ბედ-იღბალი დაკავშირებულია მსოფლიო პროლეტარიატის ბედთან. თუ პროლეტარიატი რომელიმე სახელმწიფოსი არ ისურვებს მიიღოს მონაწილეობა ამ საერთო ბრძოლაში, ან განგებ შეუშლის ხელს, ის მით დაიშორებს ზავს, შეუწყობს ხელს ომის გაგრძელებას, გააძლიერებს ხალხის უბედურებას და დაღუპავს საკუთარ თავს და ბედნიერ მომავალს. ამისთანა მუშები ჩაითვლებიან მთელი კაცობრიობის მოღალატეთ. ეს არას დროს არ უნდა მოხდეს!

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა! თქვენ გაწევთ მძიმე უღელი, მაგრამ სამაგიეროთ თქვენვე უნდა შეასრულოთ წმიდა საქმე—კაცობრიობის განთავისუფლება.

მუშა კაცებო და ქალებო! რაც შეიძლება მეტი მონაწილენი მოჰკრიფეთ საერთაშორისო პროლეტარიატის გამოსვლაში. მოჰკრიფეთ ყოველ დღე, ყოველ ღამე; მოჰკრიფეთ ყველგან, როგორც სახელოსნოებში, ისე ღარიბ ქოხებში, ქუჩებში და კრებებზე. ბრძოლა იქნება ძნელი და ხანგრძლივი. გამეფებული კლასები არ შეუშინდებიან ერთ დაკვრას და უკან არ დაიხევენ. რამდენიც ძნელი იქნება ბრძოლა, იმდენათ უფრო საჭირო იქნება მისი მედგარი გაგრძელება.

თქვენ დაგრჩენიათ ერთად ერთი ბრძოლა, რომელიც მოგცემთ გამარჯვებას მტრებზე, და თუ თქვენ მტერს მოთმინებით გაეცით პასუხი, ილოდეთ დაღუპვა მოგელით.

მაშ გაუმარჯოს საერთაშორისო ბრძოლას ომის წინააღმდეგ!

მაშ გაუმარჯოს ზავს, სოციალისტურ პროლეტარიატისაგან მოპოებულს!

## მსოფლიო დემოკრატიული ზავი თუ კაპიტალისტების მორიგება?

მითქმა-მოთქმა ზავზე სულ უფრო და უფრო ხშირდება, ძლიერდება. რომის პაპაც, იგრძნო რა ზავის მოახლოვება-აუცილებლობა, შეეცადა მეთაურობა თითონვე ეკისრა; პრესაშიაც ისეთი ზავის სხვა და სხვა გეგმების გამოქვეყნება გახშირეს, რომლის ჩამოგდებაც ამჟამათ მეომარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებისათვის შესაძლებელია.

ზავის ჩამოგდების ასეთი წყურვილის გაჩენის ერთი მთავარი მიზეზთაგანი მხოლოთ ის არის, რომ ამ ბოლო დროს სახალხო მასიური მოძრაობა სულ უფრო და უფრო იზრდება, სწრაფათ მატულობს. შიმშილმა კარგა ხანია, რაც ევროპის ქალაქებში უკმაყოფილოთა მასსა ქუჩებში გამოიყვანა, რომელიც ხმა მაღლა მოითხოვს: პურსა და ზავს. ამ რამდენიმე ხნის წინათ იტალიაში გაფიცვა გამოცხადდა, როგორც პროტესტი ომის წინააღმდეგ. ქალაქებში: გენუიასა და ტურინში (იტალიაში), რომლებიც მუშათა მოძრაობის ცენტრათ ითვლებიან, სამხედრო წესები გამოაცხადეს, ბევრი მებრძოლი დაატუსაღეს. იტალიის სოციალისტური პარტიის „ავანტის“ („წინ“) გაზეთის ფურცლები, რომლებიც ჩვენამდე ძალიან ძვირათ აღწევს ხოლმე, თეთრი სვეტებით არის აჭრელებული, რადგან სამხედრო ცენზურა არ უშვებს ამბებს, რომლებიც ამჟამათ იტალიაში მრავალ ალაგას ხდება და იქ გამეფებულ მღელვარებას გვიხატავს. მარა თვითონ ბურჟუაზიული პრესიდანაც აშკარათ სჩანს, რომ იტალიაში დღეს „ბუნტი და არეულობა“ ყველგანაა. ყველგან ეგრეთ წოდებული „შიმშილობის ნორმაა“ შემოღებული, ე. ი. მცხოვრებთ პურს მხოლოთ ბარათებით აძლევენ და ისიც ნახევარი გირვანქობით. ბურჟუაზიული გაზეთები ხალხს ურჩევს იქ, რომ კართოფილით ისაზრდოვოს, რაც მათი აზრით უფრო „სახეიროც არის და გიგიენურიც“ (?). იტალიის სოციალისტური პარტია და მასთან ერთათ ხალხი მოითხოვს, რომ ეს წყეული ომი შეწყდეს.

ამ დღეებში მომხდარი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სიეზდიც (პარიჟში) აშკარათ მოწმობს, რომ იქაური ხალხიც მარცხნით იხრება. სულ ცოტა ხანია მას აქეთ, რაც პარიჟშივე სალდათებმა დემონსტრაცია მოახდინეს და სოციალისტებისაგან მოითხოვეს, რომ ისინი საერთაშორისო სოციალისტურ სიეზდზე გაემგზავრონ, რომ იქ ზავის ჩამოსაგდებათ მოილაპარაკონ და ზომების მიღებაზე შეთანხმდენ.

თუ მეტი არა, ასეთივე მაინც გადახრა მარცხნით ინგლისს და სხვა ქვეყნებსაც ეტყობათ. ამას წინათ ისპანიაში ამტყდარი აჯანყება, არგენტინის მუშების საერთო გაფიცვა, როგორც ომის საწინააღმდეგო პროტესტი, ყველა ეს მომასწავებელია ევროპის და შეიძლება საერთოთ მთელი მსოფლიოს რევოლიუციისაც.

მაგრამ ყველაზე მეტათ საყურადღებოა გერმანიიდან მოსული უკანასკნელი ამბები. გერმანიაზე ახლა მიჩერებული არიან არა მარტო მომხრეები რევოლიუციისა, არამედ მისი მტრებიც. და აი უკანასკნელ დღეებში იქიდან მართლაც გვესმის ამბები, რომლებიც გერმანიის ფლოტზე აშკარა აჯანყების დაწყებას მოწმობენ.

გერმანიის ზღვათა მინისტრი რეიხსტაგში აცხადებს: „სამწუხაროთ მართალია ის ამბავი, რომ რუსეთის რევოლიუციამ ჩვენი სამხედრო ფლოტის ზოგ წარმომადგენლებს გზა-კვალი აურია და მათ რევოლიუციონური იდეები ჩაუნერგა. ამ უგუნურთა გეგმა იქეთკენ იყო მიმართული, რომ მთელი ფლოტის ყველა რაზმებში მომხრეები მოეპოვათ და მერე ერთ დღეს მთელი ფლოტის შემდგენილობისთვის მთავრობის ბრძანების შესრულებაზე უარი ეთქმევინებინათ! (მემარჯვენეთა სკამებზე ყვირიან: „გესმით, გეყურებათ“!?) ამასთან აზრათ ჰქონდათ ძალით შეეჩერებიათ ფლოტის მოძრაობა-მოქმედება და ამნაირათ იძულებული გავეხადეთ ზავი გამოგვეცხადებია. (მარცხნიდან ისმის საშინელი ყვირილი: „სირცხვილი, სირცხვილი მაგათ!“) ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტი, განაგრძობს მინისტრი, საიდანაც აშკარათ სჩანს, რომ ეს გეგმა თვითონ აგიტატორების მთავარმა ხელმძღვანელ-მეთაურმა განუმარტა აქ, რეიხსტაგში, დამოუკიდებელ სოციალისტების სათათბირო ოთახში ჩვენი რეიხსტაგის წევრებს: დიტმანს, გააზეს და ფოტგრსომს და ამათგანაც მოწონებულ იქნა (ისმის კიდევ უფრო ხმამაღალი ყვირილი: „საზარელი, სასირცხვო საქმეა!“).

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ დამოუკიდებელ სოციალისტებს გერმანიაში ახლა იმ სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ, რომლებმაც მთავრობას სამხედრო საჭიროებისათვის ხაზინიდან ფულის გაღებაზე უარი უთხრა და რომლებმაც ეგრეთ წოდებულ „სამოქალაქო მორიგების“ პოლიტიკაზე ხელი აიღეს. მინისტრის შემდეგი სიტყვებიდან მჟღავნდება ის, რომ გერმანიის ფლოტზე სერიოზული რევოლიუციონური ამბები მოხდა.

„რაც შემდეგ ფლოტზე მოხდა, ამას აქ ვერ გამოვაქვეყნებ, სთქვა მინისტრმა, ვიტყვი მხოლოთ, რომ ერთმა ჯგუფმა, რომელმაც თავისი მოვალეობა და პატივი დაივიწყა, მეტათ მძიმე დანაშაული ჩაიდინა, რისთვისაც ის ღირსეულათ კიდეც დაისაჯა. ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, ამბობს მინისტრი, რომ ამ საქმეზე გავრცელებული ხმები, რომლებმაც ჩემამდეც მოაღწია, მეტათ გაზვიადებულათ უნდა ჩაითვალოს. გერმანიის ფლოტის ძლიერება ერთი წუთითაც არ შეფერხებულა“.

თუ სახეში იმ გარემოებას მივიღებთ, რომ მინისტრი ამ სიტყვებს რეიხსტაგში ამბობდა, სადაც ისინი ყოველ ღონეს და ხერხს ხმარობენ, რომ ხალხს სიმართლე დაუფარონ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე მეტათ სერიოზულ სახეს ღებულობს.

ჯერ ისევ 23 სექტემბრის სხდომაზე რეიხსტაგში სოციალდემოკრატმა, ლანდსბერგმა აღნიშნა, თუ როგორ აგიტაციას ეწევიან მცხოვრებთა შორის და ჯარში ომის სასარგებლოთ სამღვდელო პირები, ოფიცრები, სახელმწიფო და საქალაქო დაწესებულებათა მოხელეები; თუ როგორ იძენენ სხვადასხვა გაზეთების „მამულიშვილთა“ პარტიის ხელმძღვანელები თავისი მომავალი სამხედრო მოგების იმედით და როგორ ავრცელებენ ამ გაზეთების საშვალებით ომის ისეთ მიზნებს, რომლითაც შეუძლიათ მხოლოთ მათი სამხედრო მოგება გაზარდონ-გაამრავლონ. ს.-დ. ლანდსბერგმა საქვეყნოთ აღიარა, რომ მას ღრმათა სწამს, რომ გერმანიის ხალხი მოიკრებს ძალას: ყველა დაბრკოლებებს გადალახავს და საკუთარი ძალღონით უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს სხვა ერების დაუჩაგვრელათ მოიპოვებს.

გერმანიიდან გამოქცეულებიც და სამხედრო ტყვეები, დვინსკის ფრონტზე მომხდარ შეტაკებაში შეპყრობილნიც გვატყობინებენ, რომ გერმანიაში რევოლიუცია უკვე დაიწყო. მათი გადმოცემით 28 სექტემბერს გერმანიის ფრონტის რამდენიმე ალაგას, თვითონ გერმანიისავე ბანაკში და ჯარის ზურგს უკანაც თოფის და ტყვიის მფრქვეველთა გაბმული სროლა იყო; სროლა დაიწყო აგრეთვე გერმანიის არტილერიამაც თავისივე თხრილებისაკენ.

ჩვენ ვიცით, თუ რა შეცდომებია შესაძლებელი, როცა მოუთმენლათ მოელი, რომ თხრილებს გაღმაც რევოლიუციის აფრიალებული წითელი დროშა იხილო, რომ იქაც აჯანყების ცეცხლის ალი ავარდეს! მარა მინისტრის განცხადება იმდენათ საყურადღებოა, რომ ამის გადაჭარბება — გაზვიადება არ შეიძლება.

ის მართალს ამბობს: რუსეთის რევო-

## რევოლიუციის ერთი ძირითადი კითხვათაგანი.

(იხ. „ბრძოლა“ № 18).

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები უმთავრესად იმითი არიან ძვირფასი, რომ იგინი წარმოადგენენ სულ ახალს, გაცილებით მაღალს და მასთან ნამდვილ დემოკრატიულ ტიპს სახელმწიფო აპარატისას. მენშევიკებმა და ესერებმა ყველაფერი ჩაიდინეს, რაც კი შეიძლებოდა, რომ გადაექციათ საბჭოები (უმეტეს ნაწილად პეტერბურგისა და სრულიათ რუსეთისა, ესე იგი ც. ა. კ.) უბრალო სალაყბოებათ, რომელთაც „კონტროლის“ სახით გამოქონდათ ყოვლად უძლური „დადგენილებანი“ და სხვა და სხვა „სურვილები“. მთავრობა კიდევ ამ „დადგენილების“ და „სურვილების“ დიდის ბოდიშების მოხდენით მაუდის ქვეშ ამოსდებდა ხოლმე.) მაგრამ აი, „კორნილოვშჩინის“ სიომ დაჰბერა თუ არა, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ქარიშხალი, მაშინათვე აიგავა საბჭოებიდგან, რაც კი მასში დამპალი იყო რამე და იჩინა თავი რევოლიუციონერთა გუნდმა, როგორც დიდებულმა, მძლავრმა და უძლეველმა..

დაე ამ მაგალითზე ისწავლონ რამე მცირე რწმენის პატრონებმა. დაე შერცხვეთ იმათ, ვინც გაიძახიან: „ჩვენ არა გვაქვს ახალი აპარატი, რომელსაც შეუძლიან ძველის მაგიერობა გასწიოს. ძველი აპარატი კი აუცილებლათ ბურჟუების სასარგებლოთ მოქმედობს“. ეს სიცრუეა! ჩვენ გვაქვს ეს ახალი აპარატი: ეს გახლავთ საბჭოები. ნუ გეშინიათ ხალხის თაოსნობისა და დამოუკიდებლობისა. იწამეთ რევოლიუციონურ ხალხის ორგანიზაციები და თქვენ დაინახავთ სახელმწიფოს ცხოვრების ყოველ დარგში იმავე დიად და უძლეველ ძალას, რომელიც გამოიჩინეს მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა „კორნილოვშჩინას“ წინააღმდეგ.

უნდობლობა ხალხისადმი, ეჭვი მის თაოსნობაში, თრთოლვა მის რევოლიუციონურ ქარტეხილის წინაშე, აი რა შეადგენს მენშევიკების და ესერების უმთავრეს ცოდვას. აი სად არის უმთავრესი ფესვი მენშევიკების და ესერების გაუბედაობისა და რყევისა და მათი დაუსრულებელი ცდა, რათა ჩაასხან ახალი ღვინო ძველ ჭურჭელში, ამ არსებულ სახელმწიფო აპარატში.

გადავხედოთ ჯარის გადემოკრატების ისტორიას 1917 წლის რევოლიუციაში, ჩერნოვის სამინისტროს ისტორიას, პალჩინსკის „მეფობის“ ისტორიას, პეშეხონოვის სამინისტროდგან წასვლის ისტორიას და ჩვენ დავინახავთ თუ რა ნათლათ ეტკიცდება ზემოთ ნათქვამი. იქ, სადაც არ იყო სრული ნდობა ჯარისკაცთაგან შექნილ ორგანიზაციებისადმი, იქ, სადაც უფროსები არ იყვნენ არჩეულნი ჯარისკაცებისაგან, ჯარის მეთაურებათ აღმოჩნდენ კორნილოვები, კალედინები და კონტრ-რევოლიუციონერები. ვინც კი განგებ თვალებს არ დახუჭავს, ის უეჭველათ დაინახავს, რომ „კორნილოვშჩინის“ შემდეგ კერენსკიმ სულყველაფერი ძველებურათ შეუცვლელათ დასტოვა და რომ ის პირიქით კიდევაც სცდილობს განიმეოროს კორნილოვშჩინა. მართლაც და ალექსეევის დანიშვნა, კლემბოვსკისთან, გაგარინთან, ბაგრატიონთან და დანარჩენ კორნილოვების მოტრფიალებთან „ზავის“ შეკვრა და თვით კორნილოვისა და კალედინისადმი ლმობიერებით მოპყრობა—რას მოასწავებს, თუ არა „კორნილოვშჩინის“ აღდგენას?!

შუათანა აქ არ არსებობს; ორში ერთი: ან მთელი ძალა-უფლება საბჭოებს და მაშასადამე სრული დემოკრატიზაცია ჯარისა, ან კიდევ კორნილოვშჩინა.

ახლა ავიღოთ ჩერნოვის სამინისტროს ისტორია. ამან განა არ დაგვიმტკიცა, რომ ყოველი ნაბიჯი, რომელიც კი ჩერნოვმა გადადგა გლეხების დასაკმაყოფილებლათ, ყოველი ნდობა, რომელიც კი მან გამოუცხადა გლეხებისაგან შექმნილ ორგანიზაციებს და მათ მოქმედებას, იწვევდა მუდამ გლეხებში აღტაცებას. ჩერნოვმა თითქმის ოთხი თვე მოანდომა ჩინოვნიკებთან და კადეტებთან ვაჭრობას და როდესაც ველარ გაუძლო მათ თაღლითობას, იძულებული გახდა მიეტოვებია მინისტრობა ისე, რომ ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო. მემამულეებმა და კაპიტალისტებმა კი ამ ოთხი თვის განმავლობაში საქმე გაიჩარხეს: დაიცვეს მემამულეების უფლება, გადაადებინეს დამფუძნებელი კრება და სადგილმამულო კომიტეტების წინააღმდეგაც სასტიკი ზომები გამოიწვიეს. დიახ, ორში ერთი უნდა იყოს: ან მთელი ძალა-უფლება საბჭოებს, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ; აგრეთვე მთელი მიწა გლეხობას ეხლავე დამფუძნებელ კრებამდი, ან თუ არა და მემამულეები და კაპიტალისტები შეაჩერებენ მთელ მოძრაობას, აღადგენენ მემამულეთა უფლებას, მიიყვანენ გლეხებს გამწარებამდი და გამოიწვევენ მათში სასტიკ აჯანყებას.

ასეთივე ისტორია განმეორდა წარმოებაში; აქ კაპიტალისტებმა შესძლეს უკუაგდოთ კონტროლი პალჩინსკის შემწეობით, ვაჭრებმა მოახერხეს თავიდან აეცილებიათ პურის მონოპოლია და პეშეხონოვის პირველი ცდა, რომ პურის და დანარჩენ სანოვაგის დემოკრატიული განაწილება მოეწყო.

რუსეთში ეხლა ლაპარაკი იმაზედ კი არ უნდა იყოს, თუ რა „ახალი რეფორმები“ შემოვიღოთ, ან რამე ახალი გეგმები მოვიგონოთ საერთო გარდაქმნისა. სრულიადაც არა. ასეთნაირად საქმე აქვთ წარმოდგენილი მხოლოთ კაპიტალისტებს, პოტრესოვებს და პლეხანოვებს, რომელნიც „სოციალიზმის განხორციელებლების“ და „პროლეტარიატის დიქტატურის“ წინააღმდეგ ყვირილით ლამის არის ხმა ერთიანათ ჩაუწყდეთ.

რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ აუტანელი ტვირთი და ომისგან შექმნილი უბედურება, წარმოუდგენელი და თავზარდამცემი დაშლა-დარღვევა და შიმშილი, თვითონვე გვიჩვენებენ გამოსავალს და ამასთანავე გვითითებენ იმ რეფორმებზე, რომელნიც უნდა აუცილებლათ მოხდეს: მაგალითად, პურის მონოპოლია, წარმოების და განაწილების კონტროლი, ქაღალდის ფულის შემცირება, პურის საქონელზე გაცვლის მოწესრიგება და სხვა.

ნ. ჩვენები ღონისძიებანი უკვე ყველასგან არიან აღიარებულნი და მათი განხორციელება დაიწყო კიდევაც სხვადასხვა ალაგებში. და აი ამ ღონისძიების განვითარებას და განხორციელების ხელს უშლიან მემამულენი, კაპიტალისტები და მათი ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურე ბონაპარტისტი კერენსკი თავის აუარებელ მოხელეთა გუნდით და ძველი სახელმწიფო აპარატის შემწეობით. დაუმატეთ ამას კიდევ როგორც პირდაპირი, აგრეთვე დაფარული ძალდატანება „მოკავშირეთა კაპიტალისტებისა“.

ამას წინეთ ი. პრილეჟაევი, რომელიც დასტიროდა პეშეხონოვის წასვლას და მტკიცე ფასების და პურის მონოპოლიის გაქარწყლებას, სწერდა გაზეთ „დელო ნაროდაში“ შემდეგს: „რიხიანობა და გაბედულობა—აი რა აკლდა ჩვენ მთავრობას, რა შემადგენლობისაც კი უნდა ყოფილიყო ის. რევოლიუციონურ მთავრობას არ შეუძლიან ცდა, მან უნდა გამოიჩინოს თაოსნობა და წესრიგიანათ ჩაერიოს ეკონომიურ ქაოსში. არსად ისე არ არის საჭირო მტკიცე გეზი და გაბედული ძალა-უფლება როგორც აქ“.

ეს სრული ჭეშმარიტებაა, ეს ოქროს ასოებით უნდა აღიბეჭდოს, ავტორს მხოლოდ ერთი რამ გამოეპარა, სახელდობრ ისა, რომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ „გაბედულობაზე“, „რიხზე“ და „მტკიცე ფასებზე“, სახეში უნდა ვიქონიოთ არა პიროვნება, არამედ თვით კლასი, რომელსაც შესწევს ძალა გაბედულობისა, რიხისა და მტკიცე ფასების გამტკიცებისა. ასეთ კლასსათ უნდა ჩაითვალოს პროლეტარიატი. გაბედული და რიხიანი ძალა უფლება ეს სხვა სიტყვებით იგივე დიქტატურაა პროლეტარიატისა და ღატაკ გლეხობისა. ი. პრილეჟაევი თავისდაუნებურათ ვერ ამჩნევს, რომ იგი ოცნებობს და ნატრობს ამ დიქტატურაზე.

მართლაც და რას ნიშნავს საქმით ეს დიქტატურა? იმას, რომ უკანასკნელი შეიმუსრებოდა კორნილოვშჩინა და აღდგენილ იქნებოდა ჯარის სრული დემოკრატიზაცია. ცხრამეათედი ჯარისა აღტაცებით მიემხრობოდა ამ დიქტატურას მეორე დღესვე. ეს დიქტატურა მისცემდა მიწას გლეხობას და მთელი ძალა-უფლებას ადგილობრივ კომიტეტებს. კაცი უნდა ჭკუიდან იყოს შეშლილი, რომ ამ დიქტატურას მხარი არ დაუჭიროს. იმას, რასაც პეშეხონოვი მხოლოდ ჰპირდებოდა, დიქტატურა შეიტანდა საქმით ცხოვრებაში. და სრულებითაც ხელს არ შეუშლიდა იმ დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რომელთაც იწყეს წარმოება სასურსათო, საკონტროლო და სხვადასხვა დემოკრატიული ორგანიზაციების სახით. დიქტატურა პირ-იქით ხელს შეუწყობდა მათ განვითარებას და თავიდან ააცილებდა ყოველგვარ დაბრკოლებას.

მხოლოდ პროლეტარიატის და ღარიბ გლეხთა დიქტატურას შეუძლიან გასტეხოს კაპიტალისტების წინააღმდეგობა, შეჰქმნას დიადი და გაბედული ძალა-უფლება და მოიპოვოს მასსაში, როგორც ჯარში ისე გლეხობაში, აღზნებული თავდავიწყებამდის მისული გატაცება.

ძალა უფლება საბჭოებს!—აი ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლიან მისცეს შემდეგ განვითარებას თანდათანობითი სვლა, სვლა მშვიდობიანი და დინჯი, როგორც შესაძლებელი ხალხის უმრავლესობის შეგნებასთან და მის საკუთარ გამოცდილებასთან შეფარდებული.

ძალა-უფლება საბჭოებს—ეს ნიშნავს, რომ სრული მართვა-გამგეობა ქვეყნის და სამეურნეო კონტროლი უნდა გადავიდეს მუშების და გლეხების ხელში, რომელთაც ვერვინ ვერ გაუბედავს წინააღმდეგობას და რომლებიც მალე, სულ ცოტა ხანში, გამოცდილებით ისწავლიდენ თუ რა წეს-რიგით უნდა დაიყოს მიწა და დამუშავდეს სასურსათო საგნები.

ნ. ლენინი.

ლუციამ გერმანიის ფლოტის მატროსებს მართლაც თავბრუ დაასხა. მინისტრი კიდევ უფრო მართალი იქნებოდა, რომ ეთქვა: გერმანიის მატროსებს რუსეთის რევოლიუციამ სწორეთ იმ მიზეზების მეოხებითვე თავბრუ დაასხა, რისთვისაც თავბრუს ასხამს სხვა მრავალ მილიონ სალდათს და მატროსს თხრილებში მოქანცულთ, რისთვისაც ყველა ქვეყნების ხალხთ რევოლიუციის გზაზე აყენებს. სწორეთ იმიტომ, რომ მხოლოთ ამ რევოლიუციის საშვალებით შეიძლება მეომარ სახელმწიფოთა შორის ზავი ჩამოვარდეს და დამკვიდრდეს.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ მოძრაობას ყველა ფრონტებზე!

პატივი და დიდება გერმანელ მატროსებს: რომელთაც აჯანყების დროშა აღმართეს საზარელ და წყეულ ომის წინაღმდეგ!

---

## რა მოგვცა რუსეთის რევოლიუციამ?

შეიძლება ძალიანაც გაიკვირვოთ, მარა ამ 7 თვის რევოლიუციის შემდეგაც ამ კითხვაზე ჩვენ შემდეგი უნდა ვუპასუხოთ: „ძალიან ცოტა".

მართლაც მიმოავლეთ თვალი და აშკარათ დაინახავთ, რომ ბევრი რამ ძველი, ძირმომპალი, რომელიც თითქო თვით ცხოვრებისგანაც და რევოლიუციისგანაც ხელაღებით სამუდამოთ განწირული იყო, ჩვენს გარშემო ისევ დგას.

აქ არ შევეხებით აგრარულ საკითხს, არც იმას, რომ ყველა გლეხები ერთსულოვანი წყურვილით მოელიან მიწებს. აგრარული საკითხი, ეს ხომ ჩვენი რევოლიუციის ერთი მთავარ საკითხთაგანია, მარა მიუხედავათ ამისა ამ 7 თვის განმავლობაში ჩვენ მის გადასაჭრელათ არავითარი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს. მე იმაზე აღარ ვიტყვი არაფერს, რომ ჩვენში კიდევ ცოცხლობს და არსებობს ძველი რეჟიმის ისეთი ნაშთი, როგორიც არის სახელმწიფო დუმა და სახელმწიფო საბჭო. ამეებზე ძალიან ბევრი დაწერილა და თქმულა და ისევ ამაზე წერა მეტათ უსარგებლო იქნებოდა.

ამ ჟამათ ჩვენ არ გვინდა ამ კითხვებს შევეხოთ, არამედ გვსურს სხვებზე, უფრო წვრილმანზე, ყოველდღიურზე შევჩერდეთ. ჩააკვირდით თქვენს გარშემო ცხოვრებას და აშკარათ დაინახავთ, რაოდენი ძველი რამ დარჩენილა კიდევ მასში და როგორ ნაკლებ შეცვლილა იგი დღემდე.

აიღეთ თუ გინდ, მაგალითათ, სწავლის საქმე. თითქმის ერთათ ერთი ცვლილებაა აქ შეტანილი ამ 7 თვის განმავლობაში და ეს ერთათ-ერთი მდგომარეობს მხოლოთ რუსული ენის მართლწერიდან ასო ѣ გაძევებას, ხმარებიდან გასვლას. სხვა ყველაფერი რუსეთის შკოლებში ისევ ძველებურათ დარჩა. ძველი თანამდებობანიც კი ინსპექტორების და დირექტორების ჯერ კიდევ ბევრ ალაგას გაუქმებული არაა. ეს ინსპექტორები და დირექტორები, რომლებიც წინათ სწავლის საქმეში პოლიციელის როლს ასრულებდენ და დღეს კი სრულიათ არაფერს აკეთებენ, ისევ ძველებურათ ლებულობენ ჯამაგირებს და არხეინათ ცხოვრობენ: რუსეთის დაცალიერებული ხაზინა ამათთვის ჯერ კიდევ მდიდარია!

ახლა გადახედეთ სასამართლოებს. აქაც ყველგან ისევ ძველი მსაჯულები და პროკურორები სხედან, რომელთაც ისევ ძველი რეჟიმის ხანაში რევოლიუციონერების სასტიკათ დასჯით კარიერა გაუკეთებიათ. ყველა ისინი საკუთარ ალაგზე დარჩენ და ახლა „სამართლის" სფეროში რესპუბლიკას იცავენ. იუსტიციის არც ერთ რევოლიუციონურ მინისტრს დღემდეც არ უფიქრია, რომ საჭიროა ადგილებიდან მათი გადაყენება და დაცვლა, და რატომაც გადააყენებდენ ისინი მათ. ყველა ეს მსაჯულები და პროკურორები ხომ კარგათ არიან გაწრთვნილნი და გამოცდილნი რევოლიუციონერების დასჯაში და დევნაში; ახლა ხომ ისინი ბოლშევიკებს უსწორდებიან. შინაგან საქმეთა მინისტრს ეს საქმე ყოფილ ლიბერალისათვის, კერენსკისათვის ჩაებარებიათ, მარა მას როგორღაც საქმე კარგათ ვერ წაუყვანია. აქ ძველი მცველის დროის ჯალათები უფრო საიმედონი შეიქმნენ და აკი ამიტომაც მათ ხელიც არ ახლეს.

დააკვირდით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. მსაჯულებათ ისევ ძველებურათ, მხოლოდ ვიწრო წრის წარმომადგენლებს იწვევენ. მუშათა უმრავლესობიდან ნაფიც მსაჯულათ ახლაც არავის ირჩევენ. მართლაც და როგორ შეიძლება სასამართლოში მათი მსაჯულებათ დაშვება! ვინ იცის, ისინი რას გადაწყვეტენ ან რას იტყვიან, თუ ვინიცობა მათ გასამართლებლათ, მაგ. ბოლშევიკები შეხვდათ.

დაბოლოს, აიღეთ ჩვენი ფინანსიური სისტემა. აქაც ყველაფერი ძველებურათ დარჩა. წინანდებურათ ჩვენი ფინანსების საფუძვლათ ისევ მომხმარებლებზე არაპირდაპირი გადასახადების გაწერაა მიღებული. შემოსავალზე „დაუზოგველ" გადასახადის შეწერაზე ჩვენი მინისტრები დღემდე მხოლოდ ლაპარაკობენ, მარა ცხოვრებაში კი არ ატარებენ.

ამნაირათ, საითაც გაიხედავთ, ყველგან, „ჩვენ ახალ ცხოვრებაში ისევ ძველი ჰანგი გესმით".

რათ ხდება ყველაფერი ასე?

რატომაა, რომ ჩვენი რევოლიუცია ასე უნაყოფოა?

და იმიტომ, რომ ჩვენი რევოლიუციური მთავრობის სათავეში ან თვითონ დგანან ბურჟუაზიის წინამძღოლები ან და გარედან უკარნახებენ ისინი მას თავის ნება-სურვილებს, რომლებიც სულაც არ მდგომარეობს იმაში, რომ ძველი უსამართლო ცხოვრება ძირ-ფესვიანათ შეიცვალოს და განახლდეს. მათთვის სასარგებლოა ყველა ის ძველი ნაშთები და ამიტომაც ხელუხლებლათ ტოვებენ ისინი მათ. მათი ინტერესია, რაც შეიძლება დიდხნით დარჩენ ეს ძველი ნაშთები ძალაში და ამიტომ არის, რომ ისინი სოციალისტ-მინისტრებს და მათ შემდეგ მათი საშუალებით გულუბრყვილო ჩვეტე პირებს არწმუნებენ, რომ თითქო დამფუძნებელ კრებამდე რეფორმის შემოღება არ შეიძლებოდეს: ვითომ ეს უკანონობა იქნებოდა. ხოლო მეორე მხრით ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დამფუძნებელი კრების ვადა გადადვან და თან საიდუმლოთ ცდილობენ, რომ ვეჟკაც გენერლების მეოხებით რევოლიუციის წინააღმდეგ შეთქმულობაც მოაწყონ. ისე, რომ, თუ ვინიცობა გაიმარჯვეს, დამფუძნებელი კრების მოწვევა სულ გააუქმონ. და ძველი წესწყობილების უკანვე დაბრუნება ბურჟუაზიისათვის იმდენათ უფრო ადვილი იქნება, რამდენათაც რევოლიუციის დროს ცხოვრება ნაკლებ იქნება შეცვლილი და რამდენათაც ეს ცვლილება ზერელე დარჩება და არა ძირითადი.

პირიქით, თუ ჩვენ შევძლებდით და რევოლიუციის მსვლელობით და გაღრმავებით მთელი ცხოვრების ყველა მხარეებს ძირ-ფესვიანათ შევცვლიდით, მაშინ ვერავითარი კონტრ-რევოლიუცია ვერ შესძლებდა ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ჩაეყენებია. ბურჟუაზიას სხვაგვარი ანგარიშიც აქვს, რომ ყოველნაირი რეფორმა, თუნდაც ძალიან მცირე მნიშვნელოვანიც, დამფუძნებელ კრებამდე გადასდოს. მას უნდა, რომ ეს დამფუძნებელი კრება აურაცხელ წვრილ სამუშაოს წინაშე დააყენოს და ამნაირათ მისი ძალა და ყურადღება ძირითად მთავარ საკითხებს ააშოროს.

არა მარტო ისეთ მთავარ საკითხებს გამო, როგორც არის სასურსათო საქირობა, სამრეწველო კრიზისი და სხვა ასეთები, არამედ უფრო წვრილმან საკითხებშიაც აშკარავდება ბურჟუაზიის საბოტაჟი და იმ მინისტრების უმოქმედობა, თაღრითობა, რომლებიც სავსებით მის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და რომელთაც ალბათ გაუგებრობით „სოციალისტებს" უწოდებენ. ბურჟუაზიასთან კოალიციის დაჭერის და მის გავლენის ქვეშ ყოფნის მავნე შედეგი ყოველგვარ კითხვებში გამოსჭვივის. მხოლოდ საბჭოთა ხელში ძალა-უფლების გადასვლას შეუძლია შექმნას ნამდვილი, საქმიანი და რევოლიუციის ჭეშმარიტი დამცველი მთავრობა, რომელიც დამფუძნებელ კრებამდე ალარ გადადებს რეფორმებს არც მსხვილს და აღარც წვრილს. ხოლო თუ ძალა-უფლება კიდევ დიხანს შერჩა ბურჟუაზიას და მის შემწეებს, მაშინ ჩვენი რევოლიუცია, შეიძლება ითქვას, ისევ უნაყოფოთ ჩაივლის.

---

## კერენსკის ახალი მთავრობის დეკლარაცია.

„განახლებულმა" მთავრობამ თავისი დეკლარაცია გამოაქვეყნა. ომი, ამბობს ის, „მოკავშირეებთან შეთანხმებით" უნდა ვაწარმოვოთ, ე. ი. მან.მ უნდა განვაგრძოთ, ვიდრე ეს ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტებს ენებებათ.

„მიწის საკითხი", აცხადებს მთავრობა, უნდა „მოწესრიგდეს", მაგრამ ისე კი, „რომ მიწათმფლობელობის არსებული ფორმა არ დაირღვეს"... ასე რომ მემამულეებს მიწა ჩამოვართვათ, ამას მთავრობა სასტიკათ გვიკრძალავს.

სამაგიეროთ ფინანსიურ სფეროში მუშებსა და სალდათებს ასაჩუქრებს: დეკლარაცია გვპირდება, რომ არსებულ არაპირდაპირ გადასახადებს" გაადიდებს... ასეთ დაპირებას, რა თქმა უნდა, იგი უთუოდ შეასრულებს. შემდეგ მთავრობა ამბობს, რომ იგი ყოველი ღონით ეცდება „აწარმოოს გადამწყვეტი, გაბედული და სისტემატიური ბრძოლა როგორც კონტრ-რევოლიუციასთან ისე ანარქიასთანაც".

პურიშკევიჩი, მაგალითად, თავისუფლათ დასეირნობს—ეს კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაა, ხოლო ლენინი სახელმწიფოდან განდევნილია—ეს კი ბრძოლაა ანარქიასთან. აი როგორი გზით ივლის შემდეგშიაც მთავრობა.

დასასრულ დეკლარაციიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ამ მოკლე დროში იგი შეიმუშავებს და გამოაქვეყნებს დებულებას რესპუბლიკის დროებითი საბჭოს შესახებ, რომელიც იმოქმედებს, ვიდრე დამფუძნებელი კრება შედგებოდეს.

„ობორონცებმა" „წინასწარ პარლამენტი" უკვე შეადგინეს, რომელმაც ახალი მთავრობა უნდა მოიწვიოს. მთავრობამ თვითონვე შეადგინა თავის თავი და ახლაც ეს „წინასწარი პარლამენტიც" თავის მსგავსადვე შექმნა.

---

## ბოლშევიკების ფრაქციის განცხადება

წინასწარ პარლამენტში, რომელიც დემოკრატიულმა თათბირმა შეადგინა და რომელშიაც ბოლშევიკებიც შევიდენ, პირველ სხდომაზედვე ამხ. ტროცკიმ ბოლშევიკების ფრაქციის სახელით შემდეგი განაცხადა:

„ჩვენ, რ. ს. დ. მ. პარტიის (ბოლშევიკებ-ს) ფრაქცია, ვამოწმებთ, რომ დემოკრატიული თათბირის ოფიციალური წარმომადგენლები მათგან თათბირზე გამოთქმულ განცხადებების და თათბირისავე დადგენილებების წინააღმდეგ დემოკრატიას შემდეგი წინადადებით მიმართავენ: 1) ფაქტიურათ უარჰყოს უფლება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე, 2) პრინციპიალურათ ცნოს კერენსკის უპასუხისმგებლობა და 3) ცენზიან-კადეტურ ელემენტებთან კოალიცია აღიაროს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ პირობების მიღება იმ ხალხის ნება-სურვილის ფეხქვეშ აშკარათ გათელვა იქნებოდა, რომელსაც უნდა დემოკრატიული სათათბირო ემყარებოდეს და რომლის სახელით მას სურს ილაპარაკოს. პეტერბურგის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო, მოსკოვის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო, კავკასიის მხრის მუშათა, სალდათთა და გლეხთა საერთო საბჭო, ფინლიანდიის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საოლქო საბჭო, ურალის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო, კრონშტატის, ოდესის, ეკატერინბურგის, დონის მხრის, ბაქოსი, რევლის, კიევის და თითქმის მთელი ციმბირის მხრის მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოები, პეტროგრადის პროფესიონალურ კავშირების საბჭო, სხვადასხვა კუთხის გლეხთა დეპუტატების საბჭოები და სხვა მრავალი რევოლიუციონური ორგანოების წევრთა დიდმა უმრავლესობამ ხმამაღლა განაცხადა, რომ კოალიცია კონტრ-რევოლიუციონერ ბურჟუაზიასთან, რომელიც დღეს სულერთიანათ კადეტების დროშის ქვეშ დგას, მისაღები არაა. კოალიციური სამინისტროს შედგენა, ეს კადეტების პარტიის პირდაპირი გამარჯვებაა რევოლიუციაზე და ხალხზე ამ პირობებში კოალიციის მიღება ნიშნავს პასუხისმგებლობის თავისთავზე აღებას, რაც თავის მხრივ სასოწარკვეთილებამდის მისულ მასის აუცილებლათ სტიქიურ გამოსვლის გზაზე დაყენებას მოასწავებს და რაც სამოქალაქო ომის პროვოკაციათ უნდა ჩაითვალოს. მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებთან ერთათ, რუსეთის მრავალ მილიონ მუშებთან, სალდათებთან და გლეხებთან ერთათ ჩვენი პარტია უარს ეტყვის კოალიციურ დრ. მთავრობას ყოველნაირ მხარის დაჭერაზე და სათავეში ჩაუდგება სახალხო მოძრაობას ხალხური მართვა-გამგეობის შესაქმნელათ, რაც საბჭოების ძალას დაემყარება, როგორც ცენტრში ისე ადგილობრივათ. ამიტომ ჩვენ წინადადებას ვაძლევთ დემოკრატიულ საბჭოს: 1) შეწყვიტოს კერენსკის ხელმძღვანელობით გამართული მოლაპარაკება ცენზიან ბურჟუაზიასთან და 2) შეუდგეს ნამდვილ რევოლიუციონურ მთავრობის შედგენას.

---

## საბჭოთა სიეზდის მოწვევა.

ეს საკითხი პირველათ 26 სექტემბერს იქნა წამოყენებული ცენტ. კომიტეტის ბიუროში, სადაც მენშევიკ-ობორონცების ლიდერი—დანი შეეცადა, რომ სიეზდის მოწვევის საქმე ჩაეშალა. დანი, ეტყობა, ფიქრობდა, რომ „საბჭოების წინამძღოლთა" სულის კვეთება ობორონცების სასარგებლოთ იყო მომართული; ამიტომ იგი აშკარათ და გადაჭრით გამოვიდა საბჭოთა სიეზდის მოწვევის წინააღმდეგ და ამას ასაბუთებდა იმით, რომ, ვითომ ამ გახურებულ საარჩევნო კამპანიის დროს დამფუძნებელ კრებისთვის საზარალო იქნება ადგილობრივი აგიტატორები საქმეს მოსწყვიტოთ და სიეზდზე მოუწოდოთ.

დანის წინააღმდეგ მხურვალე სიტყვით გაილაშქრა ამხ. ტროცკიმ, რომელმაც გამოაცხადა: „თუ სიეზდი კონსტიტუციონური გზით არ იქნა მოწვეული, იგი მაშინ შედგება რევოლიუციონური გზით".

დიდი ხმის უმეტესობით ბიურომ გადაწყვიტა სიეზდი მოწვეულ იქნას 20 ოქტომბრისათვის. სიეზდის მოწვევა მიენდო პეტროგრადის განყოფილებას, რომელშიაც ფრაქციის და სამხედრო განყოფილების წარმომადგენლებიც შევლენ.

---

## ბოლშევიკების ახალი გამარჯვება.

28 სექტემბერს მოსკოვის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს საერთო სხდომაზე ძალა-უფლების საკითხზე ბოლშევიკების რეზოლიუცია—„მთელი ძალა-უფლება საბჭოებს"—346 ხმით 272 ხმის წინააღმდეგ გავიდა.

წინააღმდეგ მისცეს ხმა: მენშევიკ-ობორონცებმა, სოციალისტ-რევოლიუციონერებმა და უპარტიო დეპუტატებმა.

---

## დიდი გაფიცვების შეწყვეტა.

სწორეთ იმ დროს, როცა რუსეთის რკინის გზებზე დაწყებული საერთო გაფიცვა შეწყდა, დაიწყო მეორე არანაკლებ ძლიერი და მნიშვნელოვანი გაფიცვა ნავთის სამეფოში—ბაქოში (27 სექტემბერს).

ორ ოქტომბერს ღამის 10 საათი იქნებოდა, რომ კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციების სიეზდმა ბაქოს ს. დ. მ. პ. კომიტეტისაგან დეპეშა მიიღო, რომ ბაქოს მუშებმა სავსებით გაიმარჯვეს და გაფიცვაც შესწყდათ. სიეზდი აღტაცებით შეხვდა ამ ამბავს და დეპეშითვე მიესალმა უსწორო ბრძოლაში ბრწყინვალეთ გამარჯვებულ „მაზუთის არმიას". გაფიცვა სულ რამდენიმე დღით გაგრძელდა და რომ დრ. მთავრობა საქმეში დროზე არ ჩარეულა და სავსებით არ დაეთმო მუშებისათვის, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ეს გაფიცვები გახდებოდენ დასაწყისი ახალი საყოველთაო სახალხო მოძრაობისა. დღეს მთავრობამ ეს სრული დათმობით აიშორა თავიდან, მაგრამ ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ ამ გზით იგი სულ რამდენიმე კვირით შესძლებს სიარულს, რის შემდეგ ისეთ გაუვალ ჩიხს უნდა მიადგეს, როგორიც არის საბჭოების მიერ ძალით უფლების ხელში აღება. ამის წინააღმდეგ კი მას დათმობა ვერას უშველის. აქ გზა მან ხმლით უნდა გაიკაფოს.

---

# პარტიული ცხოვრება.

## ამიერ-კავკასიის საოლქო სიეზდი.

რუს. სოც. დემ. მ. პ. (ბოლშევიკებისა).

ორი ოქტომბერი—ეს ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ სოციალდემოკრატიის ცხოვრებაში ახალი ხანის დასაწყისია, მისი ისტორიის ახალი ფურცლების გადაშლაა ამიერ-კავკასიაში. ამ დღეს გაიხსნა პირველი სიეზდი.

დღეიდან იგი შემოიკრებს გარშემო და შეაკავშირებს ამიერ კავკასიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს რევოლიუციონურ სოციალდემოკრატ-ბოლშევიზმის დროშის ქვეშ, გამოჰგლეჯს სალ ძალებს მენშევიზმის სახით მოვლინებულ ანტი-პროლეტარულ სოციალისტების ცენტრს და დაუკავშირებს რევოლიუციონურ სოციალდემოკრატიის ცენტრს ბოლშევიკებისას.

საღამოს 8 საათზე სამედიცინო საზოგადოების დარბაზში სიეზდი გაიხსნა ბოლშევიკების ლიდერის, ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით. მან მოკლე სიტყვით აღნიშნა მომენტის სიდიდე და ის პირობები, რომელშიაც სიეზდს პირველათ უხდება მუშაობა. იგი გამოსთქვამს იმედს, რომ ობორონცების მიერ დაკავებული ანტი კლასობრივი, ანტი-მარქსისტული პოზიცია-ტაქტიკა მალე ცხოვრების ულმობელი მსვლელობით არხევს ჩაბარდება და ყველა სალი, კლასობრივ ბრძოლაზე დეყრდნობილი მარქსისტ-რევოლიუციონერები ყოველგვარ კავშირს გასწყვეტენ მასთან.

შემდეგ სიეზდმა აირჩია პრეზიდიუმი, თავმჯდომარეთ ამხ. ფ. მახარაძე, მის ამხანაგებათ დ. შავერდოვი, ავანესოვი, ს. ქავთარაძე და ყორღანოვი. ამხ. ბორიანის წინადადებისამებრ და ცხარე ტაშის ცემით საპატიო თავმჯდომარეებათ ირჩევენ პარტიის დიდებულ ლიდერებს ლენინს და ზინოვიევს და თან სასტიკ პროტესტს აცხადებს სიეზდი დრ. მთავრობის მიერ მათი დაუსახურებელი დევნის გამო.

მდივნებათ არჩეულნი იქმნენ შემდეგი ამხანაგები: აკოფოვი, ოსეპიანცი, დენისოვი, კ. ცინცაძე და ალჯანოვიჩი.

სამანდატო კომისიის მოხსენებით დელეგატთა რიცხვი 29-ით განისაზღვრება. მათ შორის გადამჭრელი ხმა აქვს 26-ს, სამს კი სათათბირო ხმა ეძლევა. ესენი წარმოდგენილი არიან შემდეგი ადგილებიდან: კისლავოდსკ-პიატიგორსკი—1, ალექსანდროპოლი—1, ფოთი—1, გორი—1, ბაქო—5, გლისვეტპოლი—1, გურია (ერკეთი, ბოლისთავი, ჩოხატაური)—1, ტუაფსე—1, შერიფხანა—1, ქუთაისი—1, ყარსი—1, თფილისი—6, თფილ. პულემეტნი პოლკიდან (320 წევრი)—1, სარიყამიშიდან—1, ტრაპიზონიდან—1, მანესი (ბორჩალოს მაზრა)—1, ზუგდიდი—1, შუშა—1, ბათუმი—1, აგბატი—1, ეკატერინოდარი—1, სულ ამ ადგილებში ორგანიზაციულად შეკავშირებულია 9,000 პარტიის წევრი.

კამათს იწვევს საბჭოთა ფრაქციების წარმომადგენლების სიეზდზე დაშვების საკითხი, ცოტა ხნის მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ დაუშვან სათათბირო ხმით საბჭოთა ფრაქციიდან: ქალ. თვითმართველობ.—1, ხოლო მ შ.თა და სალდ. საბ.—3, სათათბირო ხმის უფლება მიეცა აგრეთვე თბილისის კომიტეტის სამ რედაქციის წევრთ: „კავკ. რაბოჩის", «ბრძოლის» და „ბანვორი კრივის".

ამ დროს ამხ. ს. ქავთარაძე რიგს გარეშე კრებასატყობინებს, რომ ქუთაისიდან შემაძრწუნებელი ამბავი მოვიდა: იქ ბნელ ძალებს «პოგრომი» დაუწყიათ და ქუჩებში სროლაა გამართულიო.

ორატორი ამ ამბავს ადარებს 3—5 ივლისის პეტროგრადის ამბებს და ამბობს, რომ სწორეთ ამით ისარგებლეს ბოლშევიკების მტრებმა და ყველაფერი სიავე მაშინ მათ გადააბრალეს როგორც ბურჟუაზიამ ისე მენშევიკ-ესერებმა. როგორც ხმა ისმის, ჩვენშიაც უნდათ ემსა-

მერორონ ჩვენმა იდეიურმა მოწინააღმდეგებმა, ამიტომ საჭიროა ახლავე სიეზდმა დელეგატები გაგზავნოს იქ, რომ ასეთი ცდა ძირშივე მოიკვეთესო.

ამის გამო არჩეული და გაგზავნილი იქნა ქუთაისს დელეგატები: ყორღანოვი, სახოკია და მიშჩენკო. გაისტუმრა თუ არა სიეზდმა თავისი დელეგატები, კრებაზე გამოცხადდა სამი პირისაგან შემდგარი დეპუტაცია. მენშევიკების სიეზდის მიერ არჩეული კომისიის წევრებმა დავალებისამებრ განაცხადეს: „ძლიერ საჭიროთ სცნობენ ორი მოწინააღმდეგე ფრაქციის შეერთებას და ერთად მუშაობას. მით უმეტეს, რომ ამისთვის ეხლა პირობები მეტათ მომწიფებულიაო"—განაცხადეს მათ.

მცირე მსჯელობის შემდეგ კრებამ დაადგინა, დღის წესრიგში შეიტანოს მენშევიკების დელეგაციის განცხადება-წინადადება და შეერთებაზე შემდეგ უპასუხოს.

მ ე ო რ ე  დ ღ ე.

იწყება მოხსენებები დელეგატებისა სხვადასხვა ადგილებიდან. აღსანიშნავია, რომ ყველა თითქმის ერთგვარათ ახასიათებს იმ დევნა-შევიწროებას, რომელსაც ივლისის დღეებში მოწინააღმდეგეებისაგან ბალშევიკები განიცდიდენ.

ყველანი ერთხმათ აღნიშნავენ, რომ მიუხედავათ ასეთი დევნისა ამ ბოლო ხანებში მასა თანდათან ერკვევა და ბალშევიზმის გავლენა მასზე სწრაფად იზრდება-ვითარდება. ყველა დელეგატები თითქმის ერთნაირათ აღნიშნავენ ინტელიგენტურ ძალების უქონლობას ადგილობრივ პროვინციებში და ყველგან თხოულობენ, რომ თბილისის კომიტეტმა მათ პროპაგანდისტ-აგიტატორები მიაშველოს.

მოხსენებათა შორის აღსანიშნავი იყო სხვათა შორის ბაქოელ თათარ მუშათა დელეგატის მოხსენება, რომელმაც სთქვა, რომ მრავალ სოციალდემოკრატ თათართა შორის ერთ მენშევიკსაც ვერ ნახავთო. ყველანი რევოლიუციონური სულით არიან გაჟღენთილნი, არაფერი მათ არ აერთებს, ე. წ. „ობორონცებთან". კიდევ უფრო საყურადღებო და საინტერესო იყო „პულემეტნი პოლკისა წარმომადგენელის მოხსენება. ეს პოლკი მომხსენებლის სიტყვით, პეტერბურგის რევოლიუციონერთა ბურჯს შეადგენდა 3—5 ივლისის დღეებში და მისი გამოსვლების გამო კერინსკიმ იგი გააუქმა, დაშალა: ამის გამო მისი ერთი ნაწილი შემთხვევით თბილისში მოხვდა (320 კაცი); აი ამ დაშლა-დაქსაქსვის შესახებ დელეგატმა სთქვა: „ჩემის აზრით, მენშევიკ-ესერები მეტად უტაქტიკოდ, მეტათ ბრიყვულათ მოიქცენ, როცა ჩვენ ასე გაგიფანტეს მთელ რუსეთის სივრცეზე... მთლიანათ აღებული ჩვენი პოლკი (12,060) ლენინ-ზინოვიევის და ტროცკის მეცადინეობით ბალშევიკების მეტათ მომზადებულ-გაწრთვნილ რევოლიუციონურ ჯარს წარმოადგენდა. და ახლა ჩვენი ასეთი გაფანტვით სხვადასხვა ადგილებში, ხელი შეუწყვეს ბალშევიკურ იდეის ყველგან გავრცელებას. ამით დიდი სამსახური გაუწიეს ბალშევიკებს თავიანთ საზარალოთ. ჩვენ ბრძოლის იარაღს რევოლიუციონერისას არას დროს არ დავყრით. ასეთი აღთქმა მივეცით ჩვენ ამხანაგებმა ერთმანეთს დაშორების დროს. ჩვენ ერთმანეთთან სულიერი კავშირი გვაქვს რაიც დღემდე არ გაგვიწყვეტია და მოუთმენლათ ველით იმ მომენტს, როდესაც ერთი-მეორეს შეხვდებით და მოქმედების ანგარიშს ამხანაგური ნდობით და სიმტკიცით ერთურთს მოვთხოვთ! (მქუხარე ტაშის ცემა...)

მ ე ს ა მ ე  დ ღ ე.

მოხსენებების შემდეგ სალამოს სხდომაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა მიმდინარე მომენტზე ამხ. შაუმიანმა *). დასასრულ კრებამ აღთქმისამებრ პასუხი მისცა მენშევიკების წინადადებაზე—შეერთების შესახებ. ამხ. ს. ქავთარაძემ თავის მოხსენებაში დაახასიათა და გამოარკვია მენშევიკების „რევოლიუციონერობა" და მათი მიზანი, თუ რათ სჭირდებათ მათ ჩვენთან შემოერთება. მათივე აღიარებით, სთქვა ორატორმა, მენშევიკები, როგორც [illegible] მუშებმა სრულიათ მიატოვეს, [illegible] მეტათ კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს და ახლა ისინი ფიქრობენ ჩვენ გზათ და ხიდათ გაგვიხადონ მუშებთან დაახლოვებაში. ცხარე ტაშის ცემით იწონებენ და ღებულობენ ამხ. ქავთარაძის წინადადებას, რომ მენშევიკებს უარყოფით უპასუხონ. აღსანიშნავია, რომ სიეზდზე შეერთების პრინციპის დამცველი არავინ არ აღმოჩნდა, ასე რომ დადგენილება ერთხმათ იქნა მიღებული. დასასრულ ამხ. შაუმიანის წინადადებით დაადგინეს, რომ მოწოდებით მიმართონ ყველა ამხანაგებს, რომლებიც მენშევიკების ორგანიზაციებში შედიან, დაუყონებლივ დატოვონ მათ ასეთი ორგანიზაციები და ბალშევიკური შეადგინონ.

სევასტი.

*) ამ[illegible] და სხვების მოხსენებები [illegible]რში გვექნება.

---

**ქ. ზუგდიდი.**

აქ დროებით ჩამოსულმა ამხანაგ ს.-დ. ბალშევიკმა ალ. ერქომაიშვილმა 23 სექტემბერს ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: რევოლიუცია და სოციალისტური პარტიები, ლექციის შინაარსმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელთა უმრავლესობაზე, ამხანაგ ლექტორს გამოუჩნდენ ოპონენტები, რომლებსაც გასცა შესაფერი პასუხი, რის შემდეგ დიდის ოვაციებით დააჯილდოეს.

26 სექტემბერს აქ დაარსდა ცალკე ორგანიზაცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (ბალშევიკებისა), რომელსაც დიდი ხნიდან ვცდილობდით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო დღემდე ვერ შევძელით. ზემოაღნიშნულ დროს, ადგილობრივ გიმნაზიაში გვქონდათ დამფუძნებელი კრება ნამდვილი თანამგრძნობ ამხანაგებისა; კრების თავმჯდომარეთ ამოვირჩიეთ ამხ. ალ. ერქომაიშვილი, რომელმაც ესაუბრა კრებას მიმდინარე მომენტზე. არჩეული იქმნა პრეზიდიუმი ოთხი კაცისაგან. ეს დიდათ სასურველი ნაბიჯის გადადგმაა ზუგდიდის მაზრაში და იმედიც მაქვს ზუგდიდის მშრომელი დემოკრატია მხარს დაუჭერს და ჩაეწერება მათი ინტერესების დამცველი პარტიის ბალშევიკების ორგანიზაციაში. მაშ გაუმარჯოს ბალშევიზმს!

ზუგდიდელი ისაკო.

# პროვინციის ცხოვრება.

### წერილი გურიიდან.

გურია, რომელიც რუსეთის სხვადასხვა კუთხისა გლეხებ შორის ყველაზე უფრო შეგნებულ მხარეთ ითვლება, ვერ აცდა იმ მოშხამულ ჰაერს, რომელმაც რუსეთის რევოლიუცია მოიცვა! აქაც ვხედავთ ყოვლად უმსგავსო გამოსვლებს. რუსეთის ცენტრებში თუ ეს გამოსვლები უმთავრესათ კადეტების წყალობით ხდება, ჩვენში ეს როლი სავსებით ჩვენს მენშევიკ-ობორონცებს და მათ ორგანოს „ერთობას" მიეწერება. სრულებით არ გვიკვირს იმ ჩამორჩენილი კუთხეთა გლეხების საქციელი მას შემდეგ, როცა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული ნაწილიც გურიისა ამ საწამლავის სუნით მოიშხამა. აღსანიშნავია ფრიად საინტერესო და ღირს შესანიშნავი ფაქტი. პირველ ხანებში, როცა ბალშევიკები კანონს გარეშე გამოაცხადეს და მთელ მიმართულებას ჩირქი მოსცხეს, იმღენათ გაკოჩაღდა რეაქციონური ნაწილი საზოგადოებისა, რომ მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა. როგორც მოგვითხრობენ, დაბა ლანჩხუთში, მაგალითად, პარტიულ კრებაზე ადგილი ჰქონდა შემდეგ კურიოზულ შემთხვევას: მოწამლულმა ელემენტებმა განაცხადეს, რომ პარტიაში კონტრ-რევოლიუციონერები, პროვოკატორები შემოგვპარვიაო. ყველა სმენათ გადაიქცა, აბა ვინ არის, გავიგოთო. მომხსენებელმა რიხით განაგრძო: ჩვენთან ბალშევიკები ყოფილან პარტიაში, მოგვეცით ისინი საჩქაროთო. ამ განცხადებამ დიდი აურზაური გამოიწვია. ხმას აყვენ სხვებიც და არავითარ ახსნა-განმარტებას მათთვის გასავალი აღარ ჰქონდა. გაიძახოდენ: გაზეთ „ერთობაში" ეწერა და აწი რაც უნდა გვითხრათ, არ დავიჯერებთო; დაგვანახვეთ, დაგვისახელეთ ისინიო (ბალშევიკები). ბოლოს იძულებული გავხდით, რომ ორი პიროვნება დაგვესახელებინა. დაასახელეს ხალხისთვის საჭირო და შეგნებულათ ცნობილი მომზადებული, ენერგიული, თავდადებული და რევოლიუციის ჭეშმარიტი დამცველი პირები სახელდობრ საშა დარახველიძე და პარმენ ცინცაძე. თუმცა ადგილობრივი ამხანაგები, ყველა ადგილობრივი მოწინავე ელემენტები ძლიერ კარგათ იცნობენ მათ და პატივსა სცემენ დასახელებულ პირებს, მარა უმრავლესობაზე არაფერმა იმოქმედა და ეს უმრავლესობა მაინც გაიძახოდა: არ შეიძლება, მოგვეცით ისინი, უნდა გავასამართლოთო. „ჩვენც ეს გვინდოდაო", რიხით განაცხადა მომხსენებელმა, ზოსიმე მენაღარიშვილმა,—„ჩვენთან არის, გვგონია და შეხედეთ, თურმე ჩვენ გვლალატობსო. წინათ კიდევ რეაქციის დროს, როცა დაუღალავათ და ენერგიულათ მუშაობდა, განაგრძო ზოსიმემ, ჩვენი გვეგონა! თურმე ნუ იტყვი, ცალკე ორგანიზაცია ქონია, ბალშევიკების, სტამბაც მოუწყვია. ჩვენთან, ე. ი. მენშევიკებთანაც მუშაობდა და იმავე დროს ბალშევიკებთანაც კავშირი ქონია. იმ საბუქდავზე დასტამბეს ციმერვალდის კონფერენციის დადგენილება და მე ამ ფურცლების ერთი მოკვრა ჩამივარდა ხელში და დავწვიო", დაასრულა სიტყვა ორატორმა. ყველამ თანაგრძობით შეხედა ამ გმირულ საქციელს მომხსენებლისას და ციმერვალდის კონფერენციის დადგენილების დამწველს ოვაცია გაუმართა. მოწინავე ამხანაგები მართალია წინაღუდგენ ასეთ შეხედულებას, მაგრამ ვერაფერი შესძლეს; და არამც თუ ამ ორი საპატიო პიროვნებას, არამედ იმათაც კი, ვინც წინ აღუდგა ასეთ შავრაზმულ ნაბიჯს, მასა უნდობლათ უცქერის. ამრიგათ იყო განმტკიცებული ხალხში დევნა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

დღესაც კი, როცა მწარე სინამდვილემ ყოველივე ნათელ ჰყო, აქეთ დევნა და შევიწროვება შეუწყვეტელია. ამხანაგებს სდევნიან და გაიძახიან: „ხმა არ მისცეთ ბალშევიკია, არ ამუშაოთ, პროვოკატორიაო" და მერე ვინ ჩადის ამას? ის ჯგუფი, რომელიც ასეთ შავრაზმულ საქმეებს სხვასაც ბევრს ხელმძღვანელობენ. ის ჯგუფი, რომელსაც საგმიროდ მიაჩნია ციმერვალდის კონფერენციის დადგენილების დაწვა. ეს პირები ყოყოჩობენ დღესაც და მათ არავითარ პასუხს არავინ არ სთხოვს და პარტიაში საპატიო ადგილზე ეპატიჟებიან. მერე ვინ?—მასსა შეუგნებელი. ეს კი დანაშაულათ უნდა ჩაეთვალოს ყველა მოწინავე ელემენტებს. არა თუ საპატიო ალაგი, ასეთ პირებს პარტიაში ალაგი სულაც არ ეკუთვნის ამას სამართლიანობა მოითხოვს. მაგრამ... ეჰ! რამდენს მოთვლის კაცი, თუ რამდენი მსხვერპლი შეიწირა ამ უმსგავსმა ტაქტიკამ! სამწუხარო კი უფრო ისაა, რომ როგორც ზემოთ ვსთქვი, ბევრს დღესაც არ სურს გაიგოს თავის დანაშაული, თუმცა ამას აშკარათ არ აღიარებენ და მათი შეგნებაც ჯერ კიდევ ძალიან საეჭვო ღირსებისაა. კორნილოვშჩინამ მათ ბურჟუაზიაზე ხელი აალებია, მარა ბალშევიკების ლანძღვა-ცამცირებაზე აიღებენ ხელს, თუ ვერა, ეს ძნელი სათქმელია. დღეს ყველასათვის თვალ საჩინოა, თუ რა შედეგი მოგვცა შეთანხმების პოლიტიკამ. თუ როგორ დაეშვენ ჩვენი ამხანაგები მორევში, მაგრამ ეხლა გონს მოსულნი, იმედია ანგარიშს გაუწევენ თავის შეცდომებს. მართალია გვიან, მაგრამ მაინც გონს მოსულნი უარყოფენ საერთოდ შეთანხმების პოლიტიკას, გვერდში ამოუდგებიან რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას და მასთან ერთად შეუდგებიან რუსეთის დიად დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცებას, რევოლიუციის გაღრმავებას და მის გამარჯვებით დაგვირგვინებას და მასთან ერთად შეადგენს ერთ ძლიერს რევოლიუციონურ-დემოკრატიულ ლაშქარს! მაშ ამხანაგებო, შეძახოთ შევსძახოთ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით"!

მაშ, მთელი ძალა-უფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს! ძირს ავაზაკური ომი! გაუმარჯოს საერთაშორისო დემოკრატიულ ზავს! გაუმარჯოს ინტერნაციონალურ-რევოლიუ[illegible]ოლეტარიატს! გაუმარჯოს სო[illegible]

—ნი.

---

**პ. საყვარელიძის ლექციაზე.**

პავლე საყვარელიძის სახით ჩვენს „კურთხეულ საქართველოსაც" მოევლინა თავისი შ ე ი დ ე მ ა ნ ი. სწორეთ ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა მისმა მოხსენებამ 24 სექტემბერს—ქართულ კლუბში ეროვნულ საბჭოზე. ძირითადი დებულება მომხსენებლის, რაშიაც სავსებით დაეთანხმა ფედერალისტთა ბელადები: მესხიშვილი, ქუმბაძე და პაპავა, შემდეგში მდგომარეობს: „სამღვთო ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისთვის", პარტიული ბრძოლის დავიწყება და ერთი გზით სვლა ყველა საქართველოში არსებულ პოლიტიკური პარტიების და სომხებთან მოლაპარაკება საქართველოს მიწა-წყლის გამიჯვნის შესახებ. ბურჟუაზიის დახასიათებაში პ. საყვარელიძე სასტიკ წინააღმდეგობაში ჩავარდა. რუსეთის ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციონურია და ამიტომ დემოკრატია მას აუცილებლათ უნდა გამოეყოსო—სთქვა მომხსენებელმა, საქართველოს ნაციონალ-დემოკრატები რევოლიუციონერები არიან, თუმცა ისინი კონსერვატორებიც (?) არიანო, მათ თამამათ შეუძლიათ ჩვენთან იაროონ, მაგალითად, ეროვნულ საკითხში, სკოლის საკითხშიო და სხვა. (მიწის საკითხი რატომღაც არ მოიყვანა მაგალითად.) პ. საყვარელიძემ წყევა-კრულვით მოიხსენია დროებითი მთავრობა და თითქმის ყველა სოციალისტური პარტიები, გარდა ბალშევიკების ერთად-ერთი პარტია, ეს ბალშევიკთა პარტია არის რუსეთში, რომელიც ერებს სრულ თავისუფლებას ანიჭებსო, ხოლო ლანძღვა—გინებით მოიხსენია ქართველ ბალშევიკთა ლიდერი ამხ. ფ. მახარაძე. ფ. მახარაძის „საძაგელი" წერილი აქ არ ძალმიძს, რომ წავიკითხო, ხოლო რაში გამოიხატებოდა ამხ. მახარაძის წერილის „სისაძაგლე" ვერ სთქვა, კრიტიკც ვერ დასძრა.

ლექციაში მარქსისტული ნასახიც არ იყო, გარდა წარა მარა შემდეგი სიტყვების ხმარების: „მე ქართველი სოციალ-დემოკრატი ვარ და არც ერთ ფრაქციას არ ვეკუთვნიო"! პ. საყვარელიძემ სწორეთ ისეთ შეერთებისკენ მოუწოდა, როგორაც ერთ დროს მოუწოდებდა პ რიზელი „საქართველო": „ღვდლებო, ბურჟუებო, მუშებო—შეერთდით". ჩვენ გვიკვირს, რატომ „ერთობა" ასეთი ერთობის წინააღმდეგ ხმას არ იღებს?! როგორც ვიცით, ქართველ ხელოვან-მწერალთა კავშირის შესახებ სთქვა: ვ. რუხაძეს—გრიშაშვილთან საერთო არა აქვს რაო. ახლა კი სდუმს: ალბათ ესეც მის „დიპლომატობას" უნდა მიეწეროს. თუ რუსეთში კოალიცია შეუძლებელია (რაც უკვე აღიარეთ) საქართველოც რუსეთის ერთი კუთხეთაგანია: მასაც ხომ ჰყავს თავისი რევოლიუციონერები და კონტრ-რევოლიუციონერები, მარა, სჩანს, სანამ ინტერნაციონალისტ-სოციალ-დემოკრატების ქუაზე სავსებით არ მოხვალთ, მანამდე ყოველ—დღე ტაქტიკას ცვლა დაგჭირდებათ.

გრიშა ბუკისციხელი.

---

### ფოტოგრაფთა შორის.

ამას წინეთ ფოტოგრაფებმა წარმოუდგინეს მოთხოვნილება ხაზეინებს ჯამაგირების მომატების შესახებ. ცხოვრების გაძვირების გამო ხაზეინებმა სამართლიანათ იცნეს მოთხოვნილება და დააკმაყოფილეს კიდეც. გამონაკლისს შეადგენს მხოლოთ სამი ხაზეინი: ბ. ბ. კლარი (სასახლის ქ. № 5), ბაბალოვი (მიხეილის ქ. № 22) და ალახვერდოვი (ოლღინის ქ. და ლვინის აღმართი). მათ შორის უფრო საყურადღებოა ბ. კლარი, ერთი უმდიდრესთაგანი ფოტოგრაფიის პატრონთა შორის, რომლის შესახებ გამოირკვა, რომ ის თურმე არ აძლევს მომუშავეებს თავის დროზე ჯამაგირს. სტამბებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ დაადგინა გამოაცხადოს ადგილები ზემოაღნიშნულ ფოტოგრაფებთან ბოიკოტ ქვეშ და სთხოვოს ყველას, ვინც თანაუგრძნობს მუშების სამართლიან მოთხოვნილებებს, არ მისცენ სამუშაო ზემო ჩამოთვლილ ფოტოგრაფებს მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე. აღსანიშნავია, რომ მათ მომრიგებელ კამერაშიაც არ მოისურვეს სადაო კითხვების გადაცემა.

გამგეობა.

---

**ტაშკენტი და ნოვოჩერკასკი.**

ჩვენ არ ვიცით ჯერ დაწვრილებით ტაშკენტის ამბები, მაგრამ ერთი კი ცხადია. როდესაც აჯანყება მოახდინა კორნილოვის მომხრე გენერალმა კალედინმა—როგორ მოეპყრა მას კერენსკის მთავრობა? გამოაცხადა კალედინის მიმდევრები კონტრ-რევოლიუციონერებათ და გაგზავნა ნოვოჩერკასკში ტყვიის მფქრეველები? არაფერი ასეთი არ მომხდარა. მან გამართა ტელეგრამით მოლაპარაკება კალედინელებთან და გაგზავნა კალედინთან სკობელევი ამხანაგურ მოსალაპარაკებლათ.

დღემდის გრძელდება ეს სკანდალი. კალედინს ეხვეწებიან მიბძანდეს მაგილევში ჩვენების ჩამოსართმევათ და პატიოსან სიტყვას უდებენ, რომ ხელს არ ახლებენ. ისა და მისი მეგობრები კი აბუჩათ იგდებენ დროებით მთავრობას ხოლო ეს უკანასკნელი კი გაჩუმებულია.

როგორ ეპყრობიან ტაშკენტს? ჯერ კიდევ არ მიუღიათ უტყუარი ცნობები, თუ რაშია იქ საქმე, მაგრამ კერენსკი დაუყოვნებლათ აცხადებს იქაურ რევოლიუციონურ კომიტეტს კონტრ-რევოლიუციონერათ და გზავნის იქ დამსჯელ ექსპედიციას სამათ ტყვიისმფრქვეველებით. მოქალაქე სკობელევი და მისი თანამოაზრენი არც კი ფიქრობენ ჩაერიონ საქმეში და გამონახონ დასამშვიდებელი საშვალება. ესერების ცენტრალური კომიტეტი კი დაუყონებლივ აცხადებს იქაურ მოძრაობას კონტრ-რევოლიუციონურათ კერენსკისთან ერთად. ორნაირი საზომი! ერთ ადგილას აჯანყდა კაზაკების გენერალი, ცხადი კორნილოველი, კონტრ-რევოლიუციონური. იმას შეიძლება თავზე ხელი მოუსვან, ცოტა გაუწყრენ, თითქმის ბოლოში არ მოიხადონ მის წინაშე, როგორც ეს ქნა სკობელევმა. მეორე ადგილას კი უფლება ხელში ჩაიგდო" საბჭომ, მემარცხენე ესერების ჯგუფმა. აქ კი უნდა დამსჯელი ექსპედიცია გაიგზავნოს. სრულიათ არ არის საჭირო გარემოების გამორკვევა და მშვიდობიანათ საქმის დამთავრება.

ორი საზომია! და ამ ორ საზომში ცხადათ [illegible] მთელი სისტემა კერენსკისა, რ[illegible]ბელიც კონტრ-რევოლიუცია («[illegible]ბ. პუტ.»).

---

### ბ რ ძ ო ლ ი ს  ფ ო ნ დ ი.

სალამი „ბრძოლის" რედაქციას, სალამი მის ძალებს, რომელნიც გამომხატველნი არიან ორთოდოქსალური მარქსიზმის და ატარებენ ნამდვილ ჭეშმარიტ სწორ ტაქტიკას დღევანდელ დიდ რევოლიუციაში.

ჩვენ ს. ერკეთის ამხანაგები ვალდებულად ვთვლით თავის თავს, რომ ყოველივე ზნეობრივი და ქონებრივი დახმარება აღმოუჩინოთ ჩვენს რედაქციას, რათა ის გადაიქცეს ყოველ დღიურ გაზეთათ. ამისათვის გავმართეთ ხელის მოწერა ხელმეორეთ და ვგზავნით მცირე წვლილს.

სია იმ ამხანაგებისა და მოქალაქეებისა, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ჩვენი რედაქციის გასაძლიერებლათ: გრიგორი როგავამ 10 მ., ტარასი მგალობლიშვილმა და ერმილე ჩინდაძემ სამ-სამი მანეთი, ფილიპე მგალობლიშვილმა და აფო გვაზავასამ ორ ორი მანეთი, ვანო ამტ. მგალობლიშვილმა და იაგორ მარკოზისძე კალანდაძემ თითო მან. ნახევარი, თამარა არსენის ასულმა, ამბაკო, ფატია, აპოლონ, ნატალია იასონის ასულთ, სონა ივანეს ასულმა და მაშიკო მგალობლიშვილებმა, გიორგი ვარდენისძე და ვანო არჩილისძე შარაშიძეებმა, ასინეთი, ქსენია, შუშანიკა, ჰეჰიკო, ელენე ლადიმერის ასულთ კეკელიძეებმა, სამსონ შარაშიძემ, ნიკოლოზ და არსენ შაქარიშვილებმა, ლევანტი და ილარიონ რამიშვილებმა, ფედოსი გიორგის ასულმა კობიძემ, გრიშა მდივანმა და იესე ჩანტლაძემ—თითო მანეთი, მელიკო და ალათი კონსტანტინეს ასულთ, ებე და მინა მგალობლიშვილებმა, თამარა ლადიმერის ასულმა კეკელიძემ, ილია და ბეჟუკი ბერიძეებმა, ნატაშა მდივანმა, ტარასი მინდაძემ, დიმიტრი ჩანტლაძემ, მარია დავითის ასულმა კალინდაძემ, ელენე უჯმაჯურიძემ, კოწია შაქარიშვილმა, ქსსარია შაქარიშვილისამ, სოლომონ ჯინჭარაძემ—ათ-ათი შაური. სულ 52 მ. 50 კ.

ერკეთის ბალშევიკთა იდეიური ბიუროს დავალებით: გრიგოლ როგავა, ფილიპე და ტარასი მგალობლიშვილები.

— —

ქიათურიდან ალექსანდრე ვაშაძისაგან მივიღეთ ნაცნობ-ამხანაგთა შორის შეგროვილი ფული, სულ 43 მ. შემომწირველთა სია: პეპელამ, ისიდორემ, ალ—მა თითომ სამ-სამი მან. ბაბომ, გიგიამ, და გალაქტიონმა—ათ-ათი მან., შაქრომ 2 მან., ნუცამ 1 მ. და ვოლსკიმ 50 კ.

— —

დარია იოსების ასულმა კიკნაძისამ და შიო მუხათგვერდელმა გაზეთი „ბრძოლა" თავის ხარჯით გამოუწერეს ერთი თვით დ. ხაშურის რკინის გზის დეპოს და სახალხო უფასო სამკითხველოებს.

---

## ჩვენი ფოსტა.

ს. ერკეთი. ტ. მგალობლიშვილს. ვერ ვბეჭდავთ, რადგან ასეთი წერილებისთვის ადგილი არ გვყოფნის.

შორაპანი. ა—ტს. ლექსებს ვერ ვბეჭდავთ, რადგან შინაარსით ჩვენ არ გამოგვადგა. ცნობებს და კორესპონდენციებს თუ მოგვაწვდით სიამოვნებით დავბეჭდავთ; მაშინ გაზე[illegible]ზავნებათ.

Электропечатня газ. «Тифлисскiй Л[illegible] Г. Хачатрова, Крузенштернская, 4.